რეგისტრაციის N 60/36

# საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "საზოგადოებრივი მაუწყებელი

## 2015 წლის 1 იანვრიდან - 2016 წლის 31 დეკემბრამდე დასრულებული საანგარიშო პერიოდისათვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

# შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ეგზ N1

*"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"*

*ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის*
*დეპარტამენტის უფროსი*

*თორნიკე შერმადინი*

*„15"----12----" 2017 წელი*

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საზოგადოებრივი მაუწყებელი"**
**შესაბამისობის აუდიტის ანგარიში** N 60/36

2015 წლის 1 იანვარიდან - 2016 წლის 31 დეკემბრამდე
დასრულებული საანგარიშო პერიოდისათვის

**თბილისი**

**2017**

## სარჩევი

**შემაჯამებელი მიმოხილვა** ..... **3**
**გაცემული რეკომენდაციები:** ..... **5**
**ორგანიზაციის ზოგადი მიმოხილვა** ..... **9**
**1. საბიუჯეტო პროცესების მართვა** ..... **10**
1.1 „შრომის ანაზღაურება“ სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმაში ..... 10
1.2 „ჰონორარი“ სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმაში ..... 10
1.3 „არაფინანსური აქტივების ზრდა“ სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმაში ..... 10
**2. სამეურვეო საბჭოს საქმიანობა** ..... **11**
2.1 სამეურვეო საბჭოს მიერ მაუწყებლის ბიუჯეტის დამტკიცება ..... 11
2.2 სამეურვეო საბჭოს და დამტკიცებულ ბიუჯეტებს შორის სხვაობები ..... 12
2.3 ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილების გარეშე გაწეული ხარჯები ..... 12
2.4 სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების გარეშე გაზრდილი თანამდებობრივი სარგოები ..... 12
**3. განხორციელებული შესყიდვები** ..... **13**
3.1 შესყიდვების დაგეგმვაში არსებული ხარვეზები ..... 13
3.2 კონკურენციის გარეშე განხორციელებული შესყიდვები ..... 15
3.2.1 კონკურენციის შემზღუდველი სატენდერო მოთხოვნები ..... 15
3.2.2 არასათანადოდ ჩატარებული ბაზრის კვლევა ..... 16
3.3 ბაზრის კვლევის გარეშე განხორციელებული შესყიდვები ..... 17
3.4 საქონლისა და მომსახურების შესყიდვა ბარტერის საშუალებით ..... 18
3.5 შუამავლის მეშვეობით განხორციელებული შესყიდვა ..... 19
**4. საკადრო პოლიტიკა და მისი მართვა** ..... **19**
4.1 თანამშრომელთა ნამუშევარი დროის აღრიცხვა ..... 19
4.2 ინტერესთა კონფლიქტი ..... 20
4.3 უსაფუძვლოდ გაცემული ჰონორარი ..... 20
4.4 დაცვის ხარჯი ..... 21
**5. ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები** ..... **21**
5.1 ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის ხარჯები ..... 21
**6. იჯარიდან მიღებული შემოსავლები** ..... **22**
**7. აქტივებისა და ვალდებულებების მართვა** ..... **22**

## შემაჯამებელი მიმოხილვა

### 1. საბიუჯეტო პროცესების მართვა

მაუწყებლის მხრიდან 2015-2016 წლებში საბიუჯეტო პროცესების მართვა ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი ხარვეზებით, ვინაიდან:

- დამტკიცებული ბიუჯეტი წლის მანძილზე ძირეულად იცვლებოდა;
- საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული არც ერთი ხარჯის კატეგორია არ იყო სათანადოდ დასაბუთებული და არ ეყრდნობოდა იმ პერიოდში ორგანიზაციაში არსებულ მოთხოვნებს, კერძოდ:
  - ✓ 2016 წელს ბიუჯეტით დაგეგმილი იყო არაფინანსური აქტივების ზრდა 8,222,000 ლარით, საიდანაც 5,187,800 ლარი გადატანილი და გახარჯულია ხარჯების სხვადასხვა კატეგორიაში;
  - ✓ 2015-2016 წლებში შრომის ანაზღაურებამ ნაცვლად საკასო შესრულების მიხედვით წარმოდგენილი 431,213 ლარის და 521,278 ლარისა, რეალურად შეადგინა, შესაბამისად, 16,652,617 ლარი და 21,329,289 ლარი.

მაუწყებელში, წლების განმავლობაში დანერგილი საბიუჯეტო პროცესების მართვის პრაქტიკა, ქმნის მცდარ სურათს და მოლოდინებს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით, ასევე რისკის ქვეშ აყენებს ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევას.

### 2. სამეურვეო საბჭოს საქმიანობა

სამეურვეო საბჭო მაუწყებელზე ფინანსურ და მმართველობით კონტროლს წარმართავდა მნიშვნელოვანი სისუსტეებით, კერძოდ:

- მაუწყებლის ყველა თანამშრომელი, გარდა გენერალური დირექტორისა, ირიცხება შტატგარეშე თანამშრომლად;
- სამეურვეო საბჭოსთან შეუთანხმებლად, მაუწყებლის გენენერალურმა დირექტორმა თანამშრომლებს გაუზარდა ხელფასი 1,182,139 ლარით;
- მაუწყებელმა, სამურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში კანონით განსაზღვრული შესაბამისი ცვლილების შეტანის გარეშე, გასწია შემდეგი ხარჯები:

  3,704,559 ლარი - 2015 წელს და 4,302,233 ლარი - 2016 წელს.

### 3. განხორციელებული შესყიდვები

- მაუწყებლის მიერ გამოცხადებული ტენდერების მნიშვნელოვან ნაწილში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი:
  - ✓ 2015 წელს: 78 ტენდერიდან - 38 ტენდერში (49%) ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებით - 2,491,952 ლარი.
  - ✓ 2016 წელს: 93 ტენდერიდან - 44 ტენდერში (47%) ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებით 1,253,280 ლარი.

  ტენდერებში, სადაც ერთი პრეტენდენტი მონაწილეობდა, 2015 წელს ფასის კლება მოხდა მხოლოდ 6%-ით, ხოლო 2016 წელს - 4%-ით. სრულიად განსხვავებული შედეგია, როდესაც ერთ პრეტენდენტზე მეტმა მიიღო მონაწილეობა: 2015 წელს ფასი 20%-ით, ხოლო 2016 წელს - 40%-ით შემცირდა.

- შესყიდვების წლიური დაგეგმვა ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი ხარვეზებით:
  - ✓ 2015 წელს: დაიგეგმა ორი შესყიდვის კლასიფიკაციის (CPV) კოდით 4,000,000 ლარის ოდენობის შესყიდვა, რაც შემცირდა 134,650 ლარამდე.
  - ✓ 2016 წელს: დაგეგმილი 3,391,035 ლარის შესყიდვა საერთოდ არ განხორციელებულა.

- 2 შემთხვევაში (შესყიდვის ჯამური ღირებულება 364,050 ლარი), სატენდერო დოკუმენტაცია მორგებულია კონკრეტული მოდელის საქონლის მახასიათებლებს.
- დეკორაციული სამუშაოების შესყიდვებში:
  - ✓ გამოცხადებულ 26 ტენდერზე (სახელშეკრულებო თანხით - 569,913 ლარი) ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა, აქედან, 16 შემთხვევაში, ტენდერში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი.
  - ✓ 26 შესყიდვიდან, 16 შემთხვევაში - გამარჯვებულად გამოვლინდა ერთი და იგივე კომპანია.

მაუწყებლის მიერ ბაზრის კვლევის გარეშე განხორიციელებულ შესყიდვებში, სადაც მონაწილეობას მხოლოდ ერთი პრეტენდენტი იღებდა, მაღალია არაეკონომიურად შესყიდვის რისკები.

## 4. საკადრო პოლიტიკა და მისი მართვა

2015-2016 წლებში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები გამოვლინდა მაუწყებელში საკადრო პოლიტიკასა და მის მართვაში, კერძოდ:

- ხელფასის გაცემის პროცესში, არ ხდება თანამშრომელთა რეალურად ნამუშევარი დროის გათვალისწინება.
- 2015-2016 წლებში საზოგადოებრივი მაუწყებლის 103 თანამშრომლის მიერ დარღვეულია „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი, რომლითაც მათ ეკრძალებოდათ პარალელურად ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება სხვა მაუწყებელში.
- სამეურვეო საბჭოს ყოფილ წევრს, რომელსაც უფლებამოსილების ვადა ჰქონდა შეწყვეტილი, 5 თვის განმავლობაში ჰონორარის სახით უსაფუძვლოდ მიღებული აქვს 12,800 ლარი (საშემოსავლო გადასახადის გარეშე).
- 2015-2016 წლებში მიუხედავად იმისა, რომ მაუწყებლის დაცვას უზრუნველყოფდა სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, გენერალური დირექტორის აპარატში დაცვის შტატგარეშე თანამშრომლებზე გაიცა 81,152 ლარი.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები ცხადყოფს, რომ მაუწყებელში მნიშვნელოვანი ხარვეზებია საკადრო რესურსების მართვის კუთხით, რაც წარმოშობს საბიუჯეტო ხარჯების არამიზნობრივი განკარგვის რისკებს.

## 5. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის ხარჯები

საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებულ კონტროლის მექანიზმებში გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები, კერძოდ:

- ✓ ავტომობილების გარკვეულ ნაწილზე მწყობრიდან გამოსულია ოდომეტრები;
- ✓ არ არის დადგენილი თითოეული ავტომობილის მიხედვით საწვავის წვის ნორმა;
- ✓ GPS სისტემის მონაცემებით, საწვავის ხარჯვის ოდენობა არ ედრება ფაქტობრივად ჩამოწერილ საწვავის ოდენობებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საწვავის ხარჯვაზე არსებული კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს მასთან დაკავშირებული რისკების განეიტრალებას, შესაბამისად, არსებობს საწვავის არამიზნობრივად მოხმარების რისკი.

## გაცემული რეკომენდაციები:

***რეკომენდაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას***

საბიუჯეტო სახსრებზე ეფექტიანი კონტროლის მექანიზმის შემუშავების, კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და დასახული მიზნების შესრულების მიზნით:

1. ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, მნიშვნელოვანია სსიპ - „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ მოახდინოს ასიგნებათა იმგვარი გადანაწილება, რომელიც:
   - ✓ წლის განმავლობაში არ იქნება მნიშვნელოვნად დასაკორექტირებელი;
   - ✓ მორგებული იქნება ზუსტად იმ საჭიროებებზე, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება საზოგადოებრივ მაუწყებელს მიზნების მიღწევაში;
2. სსიპ - საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული ხარჯების კატეგორიებს შორის გადანაწილებისას, აუცილებელია მოამზადოს შესაბამისი დასაბუთება, რომლის შინაარსსა და გადანაწილების მიზანშეწონილობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება თავად მხარჯავ დაწესებულებას.

***რეკომენდაცია ფინანსთა სამინისტროს***

სახელმწიფო ბიუჯეტის სწორად დაგეგმვის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი საბიუჯეტო განაცხადისა და მისი შემდგომი ცვლილებების განხილვისას, ყურადღება გაამახვილოს წარდგენილი საბიუჯეტო პარამეტრების ადეკვატურობაზე.

მაგალითად: 2015 და 2016 წლების დამტკიცებულ ბიუჯეტში მომუშავეთა შრომის ანაზღაურება განსაზღვრულია 2,767,000 ლარით, ხოლო რიცხოვნება - 122 ერთეულით. ფაქტობრივად კი, ამ კატეგორიიდან მხოლოდ გენერალურ დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს წევრებზე გაიცემა ხელფასი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ფინანსთა სამინისტრომ საბიუჯეტო განაცხადის წარდგენის დროს მაუწყებელს მოსთხოვოს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგი.

***რეკომენდაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს***

სსიპ - „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაწევი ხარჯების მიზნობრიობისა და მათი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:

1. მაუწყებლის ბიუჯეტი შეთანხმდეს სამეურვეო საბჭოსთან, საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებამდე, რათა სამეურვეო საბჭოსა და ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ხარჯების თითოეული კატეგორია ემთხვეოდეს ერთმანეთს.
2. სამეურვეო საბჭომ, სსიპ - „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბიუჯეტის დამტკიცებისას, გადაამოწმოს მაუწყებლის მიერ მოთხოვნილი თანხების დასაბუთება ხარჯების თითოეული კატეგორიის მიხედვით, რაც ძირითადად უნდა მოიცავდეს მიზნობრიობისა და გადასახდელი ფასის ადეკვატურობის დასაბუთებას.
3. სამეურვეო საბჭომ პერიოდულად აკონტროლოს მისი მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვის შესრულება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხარჯების კლასიფიკაციებს შორის დამტკიცებულისგან განსხვავებული ოდენობით ხარჯვა.

***რეკომენდაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას***

სარეკლამო დროის რეალიზაციის პროცესში, მეტი გამჭვირვალობისა და კონკურენციის გაზრდის მიზნით, სსიპ - „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ შეიმუშაოს სარეკლამო დროის რეალიზაციის სტრატეგია. მაგალითად, ერთ-ერთ მიდგომად შესაძლოა განიხილოს სრული სარეკლამო დროის გაყიდვა შესაბამის ბაზარზე გატანით, აუქციონის საშუალებით.

***რეკომენდაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას***

სსიპ - „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“, გაცემული ხელფასის რეალურად ნამუშევარ დროსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შეიმუშაოს სახელფასო პოლიტიკა, რომელმაც უნდა განსაზღვროს მაუწყებელში ხელფასის გაცემის დასაბუთება. მაგალითად, სადაც ეს შესაფერისია (ოპერატორები, კორესპონდენტები და მძღოლები, შესაძლოა იყოს გამონაკლისი, რადგან მათ უწევთ ადმინისტრაციული შენობის გარეთ მუშაობა), მიზანშეწონილია ხელფასის ადეკვატურად დარიცხვის მიზნებისთვის, „სამუშაო დროის ტაბელის“ მონაცემები შეუდარდეს ე.წ. „ტურნიკეტის“ მონაცემებს.

***რეკომდენაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას***

საწვავის ხარჯვაზე სრულყოფილი კონტროლის მიზნით, სსიპ - „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ უზრუნველყოს თითოეულ ავტომობილზე წვის ნორმების დადგენა, ხოლო გავლილ მანძილებთან მიმართებაში, დანერგოს ელექტრონული ფორმით (GPS-ის მონაცემებით) დროული და სრული აღრიცხვა. თუ ეს უკანასკნელი ტექნიკური საშუალებებით ვერ მიიღწევა, აწარმოოს დოკუმენტაცია ე.წ. „საგზურის ფურცლები“, სადაც ფიქსირდება მიმართულება და გავლილი მანძილები ავტომობილების მიხედვით.

***რეკომენდაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას***

სსიპ - „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“, ფართების იჯარით გაცემის პროცესის გამჭვირვალობის, კონკურენციის გაზრდისა და გაცემული ფართებიდან მიღებული შემოსავლების სრულად და ზუსტად აღრიცხვის მიზნით, შეიმუშაოს საკუთრებაში არსებული ფართების იჯარით გაცემის წესი და ხელშეკრულების გაფორმებამდე, უზრუნველყოს შესაბამისი აზომვითი ნახაზის შედგენა.

## შესავალი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) - „საზოგადოებრივი მაუწყებლის” 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი.

## ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. მაუწყებლის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით შეუსაბამობებს.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები დასკვნის გამოსატანად იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მაუწყებლის 2015-2016 წლების შესწავლის საგნით გათვალისწინებული საქმიანობა დადგენილ კრიტერიუმებთან მიმართებაში არსებით შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან შეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

## აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა:

- საბიუჯეტო პროცესების მართვა;
- სამეურვეო საბჭოს საქმიანობა;
- განხორციელებული შესყიდვები;
- საკადრო პოლიტიკა და მისი მართვა;
- ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები;
- იჯარიდან მიღებული შემოსავლები;
- აქტივებისა და ვალდებულებების მართვა.

## აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- სსიპ - „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულება;
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება;
- „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N637 ბრძანება;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება;
- „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება;
- „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება;
- „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება;
- „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება.
- „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N449 ბრძანება.

## აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმებთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

## ორგანიზაციის ზოგადი მიმოხილვა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების საფუძველზე, ტელე-რადიო მაუწყებლობისათვის შექმნილ ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციას, რომელიც ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე, ის არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო უწყებას.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭოს მიერ განსაზღვრული პოლიტიკით. მთავარი მისიაა დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება, საზოგადოებრივი განათლების დონის ამაღლება, მრავალფეროვნებისა და სოციალური ინტეგრაციის ღირებულების დამკვიდრების ხელშეწყობა, ასევე საზოგადოებისთვის კულტურული ფასეულობების მიწოდება. საზოგადოებრივი მაუწყებელი ამზადებს საინფორმაციო, ანალიტიკურ, დოკუმენტურ, შემეცნებით, სპორტულ და სხვა მიმართულების გადაცემებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი.

მოქმედი კანონმდებლობით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელ ორგანოებია: სამეურვეო საბჭო და გენერალური დირექტორი. სამეურვეო საბჭო განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამულ პრიორიტეტებს, გენერალური დირექტორის შრომის ანაზღაურების პირობებსა და ოდენობას, ასევე გენერალური დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის საშტატო განრიგს და თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოებს, სახელფასო ფონდს, მათ შორის, საპრემიო ფონდსა და პრემიების ზღვრულ ოდენობებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში - N1 და N2 წარმოდგენილია ინფორმაცია 2015 და 2016 წლებში საზოგადოებრივი მაუწყებლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული, დაზუსტებული და გახარჯული სახსრების შესახებ:

*ცხრილი N1. 2015 წელი*

| პარაგრაფი | დასახელება | დამტკიცებული | დაზუსტებული | გადახდა | სხვაობა/ დამტკ-დაზუსტ. |
|---|---|---|---|---|---|
| | **ხარჯები** | **28,766,000** | **29,430,984** | **29,424,592** | **(664,984)** |
| 1.1; 1.2 | შრომის ანაზღაურება | 2,767,000 | 435,600 | 431,213 | 2,331,400 |
| | საქონელი და მომსახურება | 24,098,000 | 26,980,161 | 26,979,359 | (2,882,161) |
| | პროცენტი | 59,000 | 26,500 | 26,430 | 32,500 |
| | გრანტები | 304,000 | 405,223 | 404,090 | (101,223) |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 36,000 | 36,000 | 36,000 | - |
| | სხვა ხარჯები | 1,502,000 | 1,547,500 | 1,547,500 | (45,500) |
| 1.3 | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **3,789,000** | **3,412,100** | **3,412,015** | **376,900** |
| | **ვალდებულებების კლება** | **2,142,000** | **2,012,500** | **2,012,253** | **129,500** |
| | **ჯამი** | **34,697,000** | **34,855,584** | **34,848,861** | **(158,584)**[1] |

*ცხრილი N2. 2016 წელი*

| პარაგრაფი | დასახელება | დამტკიცებული | დაზუსტებული | გადახდა | სხვაობა/ დამტკ-დაზუსტ. |
|---|---|---|---|---|---|
| | **ხარჯები** | **28,985,000** | **34,527,663** | **34,557,333** | **(5,542,663)** |
| 1.1; 1.2 | შრომის ანაზღაურება | 2,767,000 | 522,100 | 521,278 | 2,244,900 |
| | საქონელი და მომსახურება | 23,704,000 | 31,570,523 | 31,601,022 | (7,866,523) |
| | პროცენტი | 9,000 | 9,000 | 9,000 | - |
| | გრანტები | 398,000 | 400,540 | 400,531 | (2,540) |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 36,000 | 36,000 | 36,000 | - |
| | სხვა ხარჯები | 2,071,000 | 1,989,500 | 1,989,500 | 81,500 |
| 1.3 | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **8,222,000** | **3,034,200** | **3,034,200** | **5,187,800** |
| | **ვალდებულებების კლება** | **278,000** | **278,000** | **278,000** | **-** |
| | **ჯამი** | **37,485,000** | **37,839,863** | **37,869,531** | **(354,863)**[1] |

[1] 2015 და 2016 წლების დამტკიცებულ ასიგნებებსა და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის ჯამური სხვაობა, წარმოადგენს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და მიზნობრივი დაფინანსებით მიღებულ თანხებს.

## 1. საბიუჯეტო პროცესების მართვა

საქართველოს ბიუჯეტი წლის მთავარი ფისკალური დოკუმენტია, საიდანაც ფინანსდება ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი პროგრამები და ღონისძიებები[2]. შესაბამისად, საბიუჯეტო პროცესების მართვა წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს და რეგულირდება საქართველოს კანონით - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით.

კანონის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრებზე კონტროლის მექანიზმის არსებობა. შესაბამისად[3], საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის წარდგენილი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების შესახებ მოთხოვნაში, აუცილებელია მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი დასაბუთება, რომლის შინაარსსა და გადანაწილების მიზანშეწონილობაზე სრული პასუხისმგებლობა მხარჯავ დაწესებულებასვე ეკისრება.

### *1.1 „შრომის ანაზღაურება“ სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმაში*

მაუწყებლისათვის დამტკიცებულ და შემდგომში დაზუსტებულ ბიუჯეტში „შრომის ანაზღაურების“ მუხლში წარმოდგენილი თანხები მნიშნელოვან ცვლილებებს განიცდიდა (იხ. ცხრილი N1 და ცხრილი N2). კერძოდ :

- 2015 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლი დაიგეგმა 2,767,000 ლარით, ხოლო ფაქტობრივად გადახდილმა თანხამ შეადგინა 431,213 ლარი;
- 2016 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლი დაიგეგმა 2,767,000 ლარით, ხოლო ფაქტობრივად გადახდილმა - 521,278 ლარი შეადგინა.

რეალურად „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან თანხები გაცემულია მხოლოდ გენერალურ დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს წევრებზე, ხოლო ყველა სხვა თანამშრომელზე ხელფასი გაიცა „საქონელის და მომსახურების“ მუხლის - „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ ქვეკატეგორიიდან, კერძოდ: 2015 წელს - 16,652,617 ლარი, ხოლო 2016 წელს - 21,329,289 ლარი. აღნიშნული საკითხი უფრო ვრცლად ახსნილია ანგარიშის 2.4 ქვეთავში.

### *1.2 „ჰონორარი“ სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმაში*

მაუწყებლის ბიუჯეტში „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „ჰონორარის“ ქვეკატეგორიაში, 2015 წლის 1 სექტემბრამდე უფლებამოსილების მქონე მონიტორინგის საბჭოს 4 წევრის „ჰონორარი“, ნაცვლად 8 თვისა (64,000 ლარი), დაიგეგმა 12 თვეზე (96,000 ლარი).

### *1.3 „არაფინანსური აქტივების ზრდა“ სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმაში*

მაუწყებლისათვის დამტკიცებულ და შემდგომში დაზუსტებულ ბიუჯეტში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ კატეგორიაში წარმოდგენილი თანხები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა (იხ. ცხრილი N1), კერძოდ: 2016 წელს დაიგეგმა 8,222,000 ლარი, ხოლო ფაქტობრივად ათვისებულ იქნა 3,034,200 ლარი, სხვაობა 5,187,800 გადატანილია ხარჯების სხვადასხვა კატეგორიებში.

მაუწყებლის მხრიდან საბიუჯეტო პროცესების მნიშნელოვანი ხარვეზებით მართვის შედეგია:

- წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში ხარჯების სხვადასხვა კატეგორიებში არსებითი თანხებით ცვლილებები;
- ნაცვლად 5,187,800 ლარით აქტივების ზრდისა, გაიზარდა სხვადასხვა ხარჯები, შესაბამისად მაუწყებელი მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს რაიმე ეკონომიკური სარგებელი, აღნიშნული ხარჯიდან;
- მცდარი სურათის და მოლოდინების შექმნა მაუწყებლის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით და ასევე ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევის რისკის ქვეშ დაყენება.

[2] საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება № 385, 2011 წლის 8 ივლისი.

[3] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N637 ბრძანება.

***რეკომენდაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას***

საბიუჯეტო სახსრებზე ეფექტიანი კონტროლის მექანიზმის შემუშავების, კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და დასახული მიზნების შესრულების მიზნით:

1. ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, მნიშვნელოვანია სსიპ - „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ მოახდინოს ასიგნებათა იმდაგვარი გადანაწილება, რომელიც:
   - ✓ წლის განმავლობაში არ იქნება მნიშვნელოვნად დასაკორექტირებელი;
   - ✓ მორგებული იქნება ზუსტად იმ საჭიროებებზე, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება საზოგადოებრივ მაუწყებელს მიზნების მიღწევაში;
2. სსიპ - „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული ხარჯების კატეგორიებს შორის გადანაწილებისას, აუცილებელია მოამზადოს შესაბამისი დასაბუთება, რომლის შინაარსსა და გადანაწილების მიზანშეწონილობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება თავად მხარჯავ დაწესებულებას.

***რეკომენდაცია ფინანსთა სამინისტროს***

სახელმწიფო ბიუჯეტის სწორად დაგეგმვის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სსიპ - „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ წარდგენილი საბიუჯეტო განაცხადისა და მისი შემდგომი ცვლილებების განხილვისას, ყურადღება გაამახვილოს წარდგენილი საბიუჯეტო პარამეტრების ადეკვატურობასა და დასაბუთებაზე.

მაგალითად: 2015 და 2016 წლების დამტკიცებულ ბიუჯეტში მომუშავეთა შრომის ანაზღაურება განსაზღვრულია 2,767,000 ლარით, ხოლო რიცხოვნება - 122 ერთეულით. ფაქტობრივად კი, ამ კატეგორიიდან მხოლოდ გენერალურ დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს წევრებზე გაიცემა ხელფასი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ფინანსთა სამინისტრომ საბიუჯეტო განაცხადის წარდგენის დროს მაუწყებელს მოსთხოვოს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგი.

## 2. სამეურვეო საბჭოს საქმიანობა

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით[4], საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო, მომდევნო წლის ბიუჯეტს ამტკიცებს გენერალური დირექტორის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტის საფუძველზე, რომელშიც ცალ-ცალკე უნდა იყოს მოცემული ტელემაუწყებლობის, სამაუწყებლო არხების, რადიომაუწყებლობისა და მმართველობითი ხარჯები.

ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი წარმოადგენს ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციას, მისი საბიუჯეტო პროცესების მართვას არეგულირებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან გენერალური დირექტორის წინადადებით, ცვლილებები შეიტანოს მის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში.

### *2.1 სამეურვეო საბჭოს მიერ მაუწყებლის ბიუჯეტის დამტკიცება*

2015 წელს სამეურვეო საბჭოს, ტელემაუწყებლობის, სამაუწყებლო არხების, რადიომაუწყებლობისა და მმართველობითი ხარჯების კატეგორიების მიხედვით, ჩაშლილი ბიუჯეტი არ დაუმტკიცებია.

სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ 2016 წლის ბიუჯეტში სათანადოდ არ იყო დასაბუთებული ცალკეული კატეგორიის ხარჯები, მიუხედავად იმისა, რომ დაზუსტება მოხდა 2016 წლის აგვისტოში, დაკორექტირებული ბიუჯეტიც შეიცავდა მნიშვნელოვან უზუსტობებს, კერძოდ:

- ჩემპიონთა ლიგის სიგნალის ხარჯი თავდაპირველ ბიუჯეტში დაიგეგმა 477,307 ლარით, კორექტირებული ბიუჯეტით - შემცირდა 390,323 ლარამდე, ხოლო საკასო ხარჯმა, მხოლოდ 43,123 ლარი შეადგინა.

[4] მუხლი 33, პუნქტი 1.

- 2016 წელს მედიისა და კომუნიკაციის ბლოკის ასიგნებები კორექტირებული ბიუჯეტით განისაზღვრა 4,062,428 ლარით, ხოლო წლიურმა საკასო ხარჯმა 305,249 ლარით მეტი - 4,367,677 ლარი შეადგინა.
- 2016 წელს სერიალების შესაძენად კორექტირებული ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 1,018,334 ლარი, საკასო ხარჯმა 453,106 ლარით მეტი - 1,471,440 ლარი შეადგინა.
- ანიმაციური ფილმების შესაძენად გეგმით გათვალისწინებული 82,616 ლარის ნაცვლად გაიხარჯა მხოლოდ 8,366 ლარი.
- კინოწარმოების შესაძენად დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული 126,639 ლარი საერთოდ არ გამოყენებულა.
- კორექტირებულ ბიუჯეტში არასწორად არის დაჯამებული რიცხვები გადასახდელების კატეგორიაში, რის შედეგადაც დაიგეგმა და ათვისებულია 318,425 ლარით მეტი ხარჯი.

### *2.2 სამეურვეო საბჭოს და დამტკიცებულ ბიუჯეტებს შორის სხვაობები*

გამოვლინდა სხვაობები 2015-2016 წლებში სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათალისწინებულ მონაცემებს შორის:

- 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით, მივლინების ხარჯების და პერსონალის დაზღვევის ხარჯები დაიგეგმა, შესაბამისად, 683,700 ლარით და 90,000 ლარით, ხოლო სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტით, შესაბამისად, 67,138 და 150,000 ლარით მეტი ოდენობით.
- 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, არაფინანსური აქტივების ზრდის კატეგორიაში გათვალისწინებული 8,222,000 ლარიდან, დასაბუთებულია და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში ასახულია მხოლოდ 4,208,320 ლარი, ხოლო სამეურვეო საბჭოს მიერ კორექტირებულ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 2,697,866 ლარი, რაც წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულთან შედარებით 5,524,134 ლარით ნაკლებია.
- 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, „მაუწყებლობის ხარჯები“ დაიგეგმა 3,774,100 ლარით, ხოლო სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში 2,864,357 ლარით მეტი - 6,638,457 ლარი.

### *2.3 ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილების გარეშე გაწეული ხარჯები*

სამეურვეო საბჭოს მიერ 2015-2016 წლების დამტკიცებულ ბიუჯეტებში ცვლილებები (დაზუსტება) განხორციელებულია, შესაბამისად, 2015 წლის 30 დეკემბერს და 2016 წლის 26 აგვისტოს. 2015 წლის განმავლობაში დაზუსტებამდე გახარჯული თანხა შეადგენს 3,704,559 ლარს, ხოლო 2016 წელს, 26 აგვისტოს დაზუსტებულ ბიუჯეტთან შეუსაბამოდ, ხარჯების ცალკეულ კატეგორიების მიხედვით - 4,302,233 ლარს.

### *2.4 სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების გარეშე გაზრდილი თანამდებობრივი სარგოები*

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით[5] და საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულებით[6], საშტატო განრიგს და თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოებს, მათ შორის, საპრემიო ფონდს, გენერალური დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო.

2015 და 2016 წლების ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული საშტატო ერთეულებისათვის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობა უნდა დაემტკიცებინა სამეურვეო საბჭოს.

2015-2016 წლებში საზოგადოებრივ მაუწყებელში არ ყოფილა საშტატო განრიგი და შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოები. მაუწყებლის ყველა თანამშრომელი, გარდა გენერალური დირექტორისა, ირიცხება შტატგარეშე თანამშრომლად.

2015-2016 წლებში, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ბრძანებებით და შრომით ხელშეკრულებებში შეტანილი ცვლილებებით, მოხდა თანამშრომლებისთვის 1,182,139 ლარის ოდენობით შრომის ანაზღაურების ზრდა, რაც სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული არ ყოფილა.

სამეურვეო საბჭო მაუწყებელზე ფინანსურ და მმართველობით კონტროლს წარმართავდა მნიშვნელოვანი სისუსტეებით, კერძოდ:

---

[5] მუხლი 30, პუნქტი 1, ქვეპუნქტები: „ზ“.

[6] პუნქტი 4, ქვეპუნქტი 4.2. - ზ;

- მაუწყებლის ყველა თანამშრომელი, გარდა გენერალური დირექტორისა, ირიცხება შტატგარეშე თანამშრომლად;
- სამეურვეო საბჭოსთან შეუთანხმებლად, მაუწყებლის გენენერალურმა დირექტორმა თანამშრომლებს გაუზარდა ხელფასი 1,182,139 ლარით;
- მაუწყებელმა, სამურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში, კანონით განსაზღვრული შესაბამისი ცვლილების შეტანის გარეშე, გასწია შემდეგი ხარჯები:

  3,704,559 ლარი - 2015 წელს და 4,302,233 ლარი - 2016 წელს.

***რეკომენდაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს***

სსიპ - „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაწევი ხარჯების მიზნობრიობის განსაზღვრისა და მათი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:

1. მაუწყებლის ბიუჯეტი შეთანხმდეს სამეურვეო საბჭოსთან, საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებამდე, რათა სამეურვეო საბჭოსა და ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ხარჯების თითოეული კატეგორია ემთხვეოდეს ერთმანეთს.
2. სამეურვეო საბჭომ, სსიპ - „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბიუჯეტის დამტკიცებისას, გადაამოწმოს მაუწყებლის მიერ მოთხოვნილი თანხების დასაბუთება ხარჯების თითოეული კატეგორიის მიხედვით, რაც ძირითადად უნდა მოიცავდეს მიზნობრიობისა და გადასახდელი ფასის ადეკვატურობის დასაბუთებას.
3. სამეურვეო საბჭომ პერიოდულად აკონტროლოს მისი მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვის შესრულება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხარჯების კლასიფიკაციებს შორის დამტკიცებულისგან განსხვავებული ოდენობით ხარჯვა.

## 3. განხორციელებული შესყიდვები

ქვემოთ მოცემულია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2015-2016 წლებში სახელმწიფო შესყიდვების თავდაპირველი და დაზუსტებული გეგმები, როგორც საბიუჯეტო, ასევე საკუთარი შემოსავლების წყაროების მიხედვით:

***ცხრილი N3***

| | დამტკიცებული | | დაზუსტებული | | სხვაობა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **წელი** | **ბიუჯეტი** | **საკ. შემოს.** | **ბიუჯეტი** | **საკ. შემოს.** | **ბიუჯეტი** | **საკ. შემოს.** |
| 2015 | 7,823,115 | 559,405 | 6,938,191 | 520,583 | (884,924) | (38,822) |
| 2016 | 10,144,310 | 355,095 | 5,209,262 | 614,664 | (4,935,048) | 259,569 |

### *3.1 შესყიდვების დაგეგმვაში არსებული ხარვეზები*

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, „შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს, შემსყიდველის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა, მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების მოცულობა არსებული მარაგების გათვალისწინებით[7]“.

2015 წელს განსახორციელებელი შესყიდვების თავდაპირველ გეგმაში - 51%, თანხით - 4,000,000 ლარი დაიგეგმა ორი შესყიდვის კლასიფიკაციის (CPV) კოდით[8]. წლის განმავლობაში დაზუსტებულ გეგმაში აღნიშნულ ორ კოდში თანხა შემცირდა 134,650 ლარამდე.

2016 წელს განსახორციელებელი შესყიდვების თავდაპირველ გეგმაში - 33% ასახული ხუთი ძირითადი CPV კოდით გათვალისწინებული 3,391,035 ლარის[9] საქონლისა და მომსახურების შესყიდვა საერთოდ არ განხორციელებულა, რაც ცხრილი N4-ის სახით მოცემულია ქვემოთ:

[7] მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტები.

[8] CPV 92221000-სატელევიზიო პროგრამების წარმოებასთან დაკავშირებული მომსახურებები - 2,000,000 ლარი და CPV 32324300 სატელევიზიო აპარატურა - 2,000,000 ლარი.

[9] თავდაპირველი გეგმის 33%.

*ცხრილი N4*

| CPV კოდი | დასახელება | თავდაპირველი გეგმა | საბოლოო გეგმა | სხვაობა |
|---|---|---|---|---|
| 32300000 | ტელე- და რადიოსიგნალის მიმღები აპარატურა | 538,865 | - | (538,865) |
| 32300000 | ტელე- და რადიოსიგნალის მიმღები აპარატურა | 50,000 | - | (50,000) |
| 34100000 | ავტოსატრანსპორტო საშუალებები | 500,000 | - | (500,000) |
| 48800000 | საინფორმაციო სისტემები და სერვერები | 1,402,170 | - | (1,402,170) |
| 72200000 | პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება | 900,000 | - | (900,000) |
| **ჯამი** | | **3,391,035** | | **(3,391,035)** |

რვა CPV კოდზე დაგეგმილი 4,200,030 ლარის შესყიდვიდან, 2016 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, გეგმა შემცირდა 1,876,571 ლარამდე[10], რაც ცხრილი N5-ის სახით მოცემულია ქვემოთ:

*ცხრილი N5*

| CPV კოდი | დასახელება | თავდაპირველი გეგმა | საბოლოო გეგმა | სხვაობა |
|---|---|---|---|---|
| 30200000 | კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები | 190,000 | 26,810 | (163,190) |
| 31500000 | გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები | 375,700 | 306,724 | (68,976) |
| 32300000 | ტელე და რადიოსიგნალის მიმღები და აუდიო და ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა | 300,100 | 63,120 | (236,980) |
| 32300000 | | 312,130 | 8,805 | (303,325) |
| 32300000 | | 797,700 | 193,569 | (604,131) |
| 45400000 | შენობის დასრულების სამუშაოები | 104,400 | 45,813 | (58,587) |
| 45400000 | შენობის დასრულების სამუშაოები | 320,000 | 151,730 | (168,270) |
| 64200000 | სატელეკომუნიკაციო მომსახურებები | 1,800,000 | 1,080,000 | (720,000) |
| **ჯამი** | | **4,200,030** | **1,876,571** | **(2,323,459)** |

მაუწყებელმა ვერ წარმოადგინა შესყიდვების თავდაპირველ გეგმაში განხორციელებული ცვლილებების დასაბუთების შესახებ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები. ასევე ვერ მოვიპოვეთ მტკიცებულებები, თუ რის საფუძველზე დაიგეგმა შესაბამის CPV კოდებში შესყიდვები და რატომ აღარ გახდა საჭირო მათი განხორციელება.

შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, „2015 წლის სარეზერვო მუხლში არსებული თანხის ზუსტი ჩაშლის არარსებობის გამო, დაგეგმილი 4,000,000 ლარი წარმოადგენდა სავარაუდო თანხას, რასაც შესაძლო იყო შეხებოდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი. თუმცა მაუწყებლის შესყიდვების 2015 წლის გეგმა სააგენტოს ელექტრონული გეგმის მოდულზე (ePLAN) ატვირთულია 2014 წლის 18 ნოემბერს, ანუ სამეურვეო საბჭოს მიერ მაუწყებლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე თვე-ნახევრით ადრე, ხოლო ე.წ. „სარეზერვო მუხლით“ სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულმა თანხამ - 2,624,109 ლარი შეადგინა, ნაცვლად - 4,000,000 ლარისა.

შესყიდვების თავდაპირველ და დაზუსტებულ გეგმებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მაუწყებლისთვის ზოგიერთი CPV კოდებით დაგეგმილი შესყიდვების განხორციელება აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რის გამოც შესაძლოა სხვადასხვა სუბიექტისთვის ეს გახდეს არასწორი პროგნოზის გაკეთების მიზეზი, როგორც ბიზნეს, ასევე საჯარო სექტორში.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი პირების შესყიდვების წლიური გეგმა უნდა შეესაბამებოდეს შესყიდვების წლიური გეგმის წარდგენის მომენტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს[11].

2016 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესყიდვების გეგმებთან მუხლობრივი შედარებით გამოვლინდა შეუსაბამობები, რაც ცხრილი N6-ის სახით მოცემულია ქვემოთ:

[10] შემცირდა 2,323,459 ლარით, რაც თავდაპირველი გეგმის 23%-ია.

[11] მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი.

*ცხრილი N6*

| ბიუჯეტის პროექტით | | შესყიდვების თავდაპირველი გეგმა | | |
|---|---|---|---|---|
| **დასახელება** | **თანხა** | **დასახელება** | **თანხა** | **სხვაობა** |
| მსუბუქი ავტომობილი | 704,000 | მსუბუქი ავტომანქანები | 500,000 | (204,000) |
| მაუწყებლობის ხარჯი (ანძის მომსახურება) | 1,080,000 | სატელეკომუნიკაციო მომსახურებები | 1,800,000 | 720,000 |

2016 წლის შესყიდვების გეგმა ხარჯების გარკვეულ კატეგორიებში არ იყო შესაბამისობაში იმავე წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ პარამეტრებთან, რის გამოც დაირღვა კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“[12]. შესაბამისად, მაუწყებლის ბიუჯეტის და შესყიდვების გეგმის შედგენა ატარებდა ფორმალურ ხასიათს და იგი არ იყო მორგებული ორგანიზაციის საჭიროებებზე.

### *3.2 კონკურენციის გარეშე განხორციელებული შესყიდვები*

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის[13] მიზანია „სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა“.

ცხრილ N7-ში ასახულია 2015-2016 წლებში ერთი პრეტენდენტის მონაწილეობით დასრულებული ტენდერების თანაფარდობა, მაუწყებლის მიერ გამოცხადებულ ტენდერებთან:

*ცხრილი N7*

| **წელი** | **გამოცხადებული** | **ერთი პრეტენდენტი** | **შეფარდება** |
|---|---|---|---|
| **2015** | 78 | 38 | 49% |
| **2016** | 93 | 44 | 47% |

ცხრილ N8-ში ასახული შესყიდვის ანალიზმა გვიჩვენა, რომ იმ ტენდერებში, სადაც ერთი პრეტენდენტი მონაწილეობდა, 2015 წელს ფასის კლება მოხდა მხოლოდ 6%-ით, ხოლო 2016 წელს - 4%-ით. სრულიად განსხვავებული შედეგია, როდესაც ერთ პრეტენდენტზე მეტმა მიიღო მონაწილეობა: 2015 წელს ფასი 20%-ით, ხოლო 2016 წელს - 40%-ით შემცირდა.

*ცხრილი N8*

| **წელი** | **პრეტენ. რაოდ.** | **ტენდერები** | **სავარ. ღირ.** | **ხელშ. ღირ.** | **ეკონომია** | **ეკონ. %** |
|---|---|---|---|---|---|---|
| **2015 წელი** | 1 | 38 | 2,645,481 | 2,491,952 | 153,529 | 6% |
| | 1-ზე მეტი | 40 | 2,030,672 | 1,627,701 | 402,971 | 20% |
| **2016 წელი** | 1 | 44 | 1,304,623 | 1,253,280 | 51,343 | 4% |
| | 1-ზე მეტი | 49 | 2,671,178 | 1,603,880 | 1,067,298 | 40% |

კონკურენციის გარეშე განხორციელებული შესყიდვების მაღალი ხვედრითი წილი განპირობებული იყო ორი ძირითადი მიზეზით:

1. შესყიდვის ობიექტის კონკრეტული ტექნიკური მახასიათებლებისა და სხვა კონკურენციის შემზღუდველი მოთხოვნების დაწესებით.
2. არასათანადოდ ჩატარებული ბაზრის კვლევით და კვლევის შედეგების გაუთვალისწინებლობით.

#### *3.2.1 კონკურენციის შემზღუდველი სატენდერო მოთხოვნები*

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის[14] თანახმად, შესყიდვის ობიექტის აღწერაში დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება. ასეთ

[12] მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი.
[13] მე-2 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტი.
[14] 12[1] მუხლის მე-6 პუნქტი.

შემთხვევებში შესყიდვის ობიექტის აღწერისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორებიცაა, „მსგავსი“, „ეკვივალენტური“ და სხვა.

დაუშვებელია სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის ისეთი კონკრეტული ტექნიკური მახასიათებლების მითითება, რაც მთლიანობაში წარმოადგენს ერთი კონკრეტული მოდელის საქონლის მახასიათებლებს.

2015 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში[15] (სავარაუდო ღირებულებით - 260,500 ლარი), მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა, რომელიც გამოვლინდა გამარჯვებულად. სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო საქონლის კონკრეტული მახასიათებლები: ჩაწერის ფორმატი - AVC-Intra 100, AVC-Intra 50, ჩამწერი სლოტები - მიკრო P2 ბარათის სლოტი×2 და P2 ბარათის სლოტი×1. ჩამოთვლილი მახასიათებლები, ხელმისაწვდომია მხოლოდ ერთი კონკრეტული ბრენდის Panasonic-ის მწარმოებლისთვის.

მაუწყებლის ზეპირი განამრტებით, სატენდერო დოკუმენტაციაში კონკრეტული მახასიათებლების დაუზუსტებლობის შემთხვევაში, შესაძლოა მიღებულიყო ისეთი ვიდეო კამერა, რომლის ჩაწერის ფორმატიც არ იქნებოდა თავსებადი მაუწყებელში უკვე არსებულ მოწყობილობებთან, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულბები წარმოდგენილი არ არის.

2015 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში[16] (სავარაუდო ღირებულებით - 163,114 ლარი), მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა, რომელიც გამოვლინდა გამარჯვებულად. სატენდერო დოკუმენტაციით, სპეციფიკაციებში არ იყო გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორიცაა: არანაკლებ, არაუმეტეს, დან-მდე. შესაბამისად, მოთხოვნილი სპეციფიკაციების შეჯერებით ვლინდება კონკრეტული მწარმოებელი და აღნიშნული პარამეტრებით სხვა ალტერნატიული პროდუქცია არ იძებნება.

ორივე ზემოთ მითითებულ შემთხვევაში, გაიმარჯვა ერთმა და იმავე კომპანიამ - შპს „ინოვატორმა“.

კანონმდებლობის დარღვევით[17], შესყიდვა განხორციელდა შემცირებული კონკურენციის პირობებში, რაც ზრდის საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად განკარგვის რისკს.

### *3.2.2 არასათანადოდ ჩატარებული ბაზრის კვლევა*

შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით[18], „ყოველი შესყიდვის განხორციელების პროცედურების დაწყებამდე, წლიური გეგმის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს. განსახორციელებელი შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოები ტარდება შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის დაზუსტების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით“.

იმ ბაზრებზე, რომლებზეც ოპერირებს მიმწოდებელთა შეზღუდული რაოდენობა, ბაზრის კვლევით შემსყიდველს შეუძლია დაადგინოს ყველა პოტენციური მიმწოდებლის ვინაობა იმისათვის, რომ განხორციელდეს ყოველი მიმწოდებლის დაინტერესება ტენდერში მონაწილეობის მისაღებად[19].

ელექტრომოწყობილობების შესყიდვისას ბაზრის კვლევის მიზნით, მაუწყებელი შეტყობინებას უგზავნიდა ერთსა და იმავე კომპანიებს, საიდანაც უმეტესად ტენდერებში მონაწილეობას იღებდა შპს „ინოვატორი“, ხოლო ბაზრის კვლევის შესახებ შეტყობინებები არ ეგზავნებოდა სხვა ისეთ კომპანიებს, რომლებიც მონაწლეობდნენ მაუწყებლის გამოცხადებულ ტენდერებში.

---

[15] SPA150014375.

[16] SPA150026144.

[17] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 12[1] მუხლის მე-6 პუნქტი.

[18] შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი.

[19] http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/metod-mititebebi-da-recomendaciebi/plans.pdf.aspx გვ.10.

ბაზრის კვლევაში მონაწილე შპს „ინოვატორმა“ მაუწყებელს განფასება წარუდგინა 257,490 ლარზე. აღნიშნულ შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში[20] მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს „ინოვატორმა“, რომელმაც ვაჭრობის ძირითად დროში (ვაჭრობის დამატებითი რაუნდების დაწყებამდე) დააფიქსირა 204,750 ლარი (სავარაუდო ღირებულებაზე 52,740 ლარით ნაკლები) და გამოვლინდა გამარჯვებულად.

2015-2016 წლებში მაუწყებლის მიერ ელექტრომოწყობილობების შესყიდვაზე გამოცხადებული 17 ტენდერიდან, 13-ში გაიმარჯვა შპს „ინოვატორმა“, ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებით - 1,159,985 ლარი, საიდანაც 10 შემთხვევაში, ტენდერში კონკურენტების გარეშე მონაწილეობდა.

შპს „ინოვატორმა“ ვაჭრობის დამატებითი რაუნდების დაწყებამდე, ხუთ შემთხვევაში მკვეთრად შეამცირა ფასი იმასთან შედარებით, რასაც იგი წარადგენდა ბაზრის კვლევის ეტაპზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების შემდგომაც, მაუწყებელს არ გადაუხედავს ფასთა გამოკითხვის პოლიტიკა და ელექტრომოწყობილობების შესყიდვის დროს შეტყობინებები ეგზავნებოდა ერთსა და იმავე კომპანიებს, რაც ქმნიდა სავარაუდო ღირებულების საბაზრო პირობებთან შეუსაბამოდ განსაზღვრის რისკს.

მაუწყებელი ხშირად ვერ ახერხებდა საბაზრო ღირებულებასთან მაქსიმალურად მიახლოებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენას, რაც კონკურენციის არარსებობის პირობებში, ზრდის საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად განკარგვის რისკს და შესაძლოა, დამატებითი მოკვლევის საგანიც გახდეს.

### *3.3 ბაზრის კვლევის გარეშე განხორციელებული შესყიდვები*

გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, პრაქტიკაში არსებობს ბაზრის მოკვლევის ექვსი ძირითადი მიმართულება[21]:

- ✓ ბაზრის სტრუქტურა;
- ✓ კონკურენციის პირობები;
- ✓ ღირებულების დარიცხვის ჯაჭვი;
- ✓ შემცვლელი (ალტერნატიული) საქონელი/მომსახურება;
- ✓ შემსყიდველი ორგანიზაციის, როგორც კლიენტის მნიშვნელობა;
- ✓ სხვა გარემო ფაქტორები.

ბაზრის მოკვლევისას ზემოაღნიშნული მიმართულებების გამოყენება დამოკიდებულია ბაზრის კვლევის ჩატარების კონკრეტულ მიზნებზე და განისაზღვრება ინდივიდუალურად შემსყიდველი ორგანიზაციის შეხედულებისამებრ.

*შპს „პატიო არტი“*

2015-2016 წლებში, დეკორაციული სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული 26 ტენდერიდან (სახელშეკრულებო თანხა 569,913 ლარი), არცერთზე ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა, შესაბამისად გაურკვეველია რის საფუძველზეა შედგენილი ხარჯთაღრიცხვები.

ერთ შემთხვევაში, დეკორაციული სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერი[22] (ღირებულებით 120,000 ლარი), გამოცხადდა ისე, რომ არც ხარჯთაღრიცხვა შედგა და შესაბამისად, არც ბაზრის კვლევა ჩატარებულა.

16 შემთხვევაში, დეკორაციული სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი.

26 შესყიდვიდან, 16 შემთხვევაში გამარჯვებულად გამოვლინდა კომპანია - შპს „პატიო არტი“.

შპს „პატიო არტის“ თანამშრომელი 2015 წლის სექტემბრის თვეში, პარალელურად დასაქმებული იყო საზოგადოებრივ მაუწყებელში დიზაინერის თანამდებობაზე და მას მომზადებული აქვს მაუწყებლის II არხის

[20] SPA150014375.

[21] http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/metod-mititebebi-da-recomendaciebi/plans.pdf.aspx გვ.12.

[22] SPA 150025885.

დეკორაციის განახლებული დიზაინი. იმ პერიოდში, როდესაც შპს „პატიო არტის“ თანამშრომელი პარალელურად დასაქმებული იყო მაუწყებელში, დეკორაციული სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულია ორი ტენდერი[23] (161,458 ლარი). ორივე შემთხვევაში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „პატიო არტი“, ისე რომ კონკურენტი არ ჰყოლია.

*შპს „გურამექსი“*

2015 წელს მაუწყებელმა ბაზრის გამოკვლევის გარეშე გამოაცხადა ტენდერი[24] (სავარაუდო ღირებულებით - 373,990 ლარი).

ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა შპს „გურამექსმა“ და მასთან ხელშეკრულება გაფორმდა 373,990 ლარზე.

ანალოგიურად, 2015 წელს გამოცხადებულ მეორე ტენდერშიც[25] (სავარაუდო ღირებულებით - 195,670 ლარი) მონაწილეობა მიიღო შპს „გურამექსმა“ და მასთან ხელშეკრულება გაფორმდა 195,670 ლარზე.

მაუწყებლის განმარტებით, შპს „გურამექსი“ წარმოადგენს საქართველოში ერთადერთ სატელევიზო ციფრული აუდიო-ვიდეო პლატების მიმწოდებელს, შესაბამისად ვერ მოხერხდებოდა ბაზრის კვლევა, თუმცა შესასყიდი საქონლის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მეთოდი გაურკვეველია.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, ზემოთ აღწერილ ვერც ერთ შესყიდვაზე, ვერ წარმოადგინა ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

უმეტეს შემთხვევაში ბაზრის კვლევის გარეშე განხორციელებულ შესყიდვებში, მონაწილეობას იღებდა მხოლოდ თითო პრეტენდენტი, რაც კიდევ უფრო ზრდის იმის რისკს, რომ ბაზრის კვლევის გარეშე განხორციელებულ შესყიდვებში დაფიქსირებული სავარაუდო ფასები ვაჭრობის შედეგად არ შემცირდებოდა და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ შესყიდვა განხორციელდებოდა საბაზრო ღირებულებაზე მაღალ ფასად, რაც შესაძლოა დამატებითი მოკვლევის საგანიც გახდეს.

### *3.4 საქონლისა და მომსახურების შესყიდვა ბარტერის საშუალებით*

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის[26] მიზანია: სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა.

2016 წელს მაუწყებელმა ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი[27]. სატენდერო დოკუმენტაციით, შესრულებული სამუშაოების სანაცვლოდ, მაუწყებელი მიმწოდებელს გადასცემდა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების შესაბამის სარეკლამო დროს, საორიენტაციო ღირებულებით 60,000 ლარზე - ბარტერის გზით, სადაც გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ბალავარი“ და ხელშეკრულება გაფორმდა 42,000 ლარზე.

2015 და 2016 წლებში მაუწყებლის მიერ ასევე ბარტერის საშუალებით, ტენდერის გარეშე, სარეკლამო დროის სანაცვლოდ განხორციელდა 619,793 ლარის და 16,621 აშშ დოლარის ეკვივალენტის ღირებულების[28] საქონლისა და მომსახურების შესყიდვა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის განმარტებით, რჩება თავისუფალი სარეკლამო დრო სარეალიზაციოდ და სწორედ მის ასათვისებლად გადაწყდა ბარტერული გარიგებით მომხდარიყო აღნიშნული სარეკლამო დროის რეალიზება.

[23] SPA 150025885, SPA150026432.
[24] SPA150005169.
[25] SPA150013523.
[26] მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.
[27] SPA160024486.
[28] მათ შორის, 2014 წელს გაფორმებული და გარდამავალი ხელშეკრულებები.

იმის გამო, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში კომერციული რეკლამის ტარიფები არ არის დამტკიცებული, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმაზე, თუ რამდენად ეკვივალენტური იყო გამოყენებული სარეკლამო დროის ღირებულება, ბარტერის გზით შესყიდული საქონლისა და მომსახურების ღირებულებასთან. დაუსაბუთებელია ასევე ბარტერით განხორციელებული შესყიდვის საგნის საჭიროებები.

ბარტერის საშუალებით შესყიდვის განხორციელება ქმნის არაკონკურენტუნარიან გარემოს, ვინაიდან ბევრი პრეტენდენტი, შესაძლოა, არ იყოს დაინტერესებული სარეკლამო დროის შესყიდვით.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს შესყიდვის ფორმად ბარტერულ გაცვლას.

***რეკომენდაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას***

სარეკლამო დროის რეალიზაციის პროცესში, მეტი გამჭვირვალობისა და კონკურენციის გაზრდის მიზნით, სსიპ -„საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ შეიმუშაოს სარეკლამო დროის რეალიზაციის პოლიტიკა. მაგალითად, ერთ - ერთ მიდგომად შესაძლოა განიხილოს სრული სარეკლამო დროის რეალიზაცია აუქციონის საშუალებით.

### *3.5 შუამავლის მეშვეობით განხორციელებული შესყიდვა*

ბაზრის პრინციპიდან გამომდინარე, რაც მეტი შუამავალია მისაღებ პროდუქტამდე, მით მეტია ამ პროდუქტის ღირებულება.

2015 წელს მაუწყებელს შპს „საერთაშორისო სპორტის მედია ჯგუფისგან“ შეძენილი აქვს ტრანსლაციის ექსკლუზიური უფლება, ჯამური ღირებულებით - 1,414,276 ლარი. აღნიშნული მატჩების ტრანსლაციის უფლება მაუწყებელს შეეძლო შეეძინა პირველ წყაროდან, რაც დაზოგავდა მაუწყებლის სახსრებს.

ანალოგიური ფაქტი დაფიქსირებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მაუწყებელში 2010, 2011 და 2012 წლების პერიოდზე ჩატარებული შესაბამისობის აუდიტის ანგარიშებშიც.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობის მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების დროული გათვალისწინებისა და აღნიშნული მატჩების ტრანსლაციის უფლებების პირველი წყაროდან შეძენის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სახსრების დაზოგვა.

## 4. საკადრო პოლიტიკა და მისი მართვა

### *4.1 თანამშრომელთა ნამუშევარი დროის აღრიცხვა*

საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მისაღებად იმის შესახებ, რომ ორგანიზაციაში სამუშაო დროის აღრიცხვა ხდება ფაქტობრივი მდგომარეობის ადეკვატურად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით[29] დამტკიცებული ფორმა - „სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი“ (შემდგომში - „სამუშაო დროის ტაბელი“) უნდა ედრებოდეს ორგანიზაციის ადმინისტრაციულ შენობაში შესვლისა და გასვლის ელექტრონულ მონაცემს, ე.წ. „ტურნიკეტის“ მონაცემს.

2015-2016 წლებში მაუწყებელში ხელფასის დარიცხვა არ ხდებოდა ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი ფორმის შესაბამისად, ასევე არ ხდებოდა თანამშრომლების სამსახურში ყოფნის დროის კონტროლი ე.წ. „ტურნიკეტების“ მეშვეობით.

2015-2016 წლებში საზოგადოებრივ მაუწყებელში არ არსებობდა თანამშრომელთა ნამუშევარი დროის კონტროლის სრულყოფილი სისტემა, რაც დაგვარწმუნებდა იმაში, რომ გაცემული ხელფასი ნამუშევარი დროის ადეკვატურია. შესაბამისად, გამოვლენილი კონტროლის სისუსტე წარმოშობს რისკს, რომ შესაძლოა თვეების განმავლობაში ხელფასი გაიცემოდეს ისეთ თანამშრომლებზე, რომლებიც სამსახურში საერთოდ არ გამოცხადებულან.

[29] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N449.

***რეკომენდაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას***

სსიპ - „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“, გაცემული ხელფასის რეალურად ნამუშევარ დროსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შეიმუშაოს სახელფასო პოლიტიკა, რომელმაც უნდა განსაზღვროს მაუწყებელში ხელფასის გაცემის დასაბუთება. მაგალითად, სადაც ეს შესაფერისია (ოპერატორები, კორესპონდენტები და მძღოლები, შესაძლოა იყოს გამონაკლისი, რადგან უწევთ ადმინისტრაციული შენობის გარეთ მუშაობა), მიზანშეწონილია ხელფასის ადეკვატურად დარიცხვის მიზნებისთვის, „სამუშაო დროის ტაბელის“ მონაცემები შეუდარდეს ე.წ. „ტურნიკეტის“ მონაცემებს.

## *4.2 ინტერესთა კონფლიქტი*

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით[30],- საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელს არ აქვს უფლება დაიკავოს თანამდებობა ან ასრულებდეს ანაზღაურებად სამუშაოს სხვა მაუწყებელში.

მაუწყებლის თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით, „დამსაქმებლის წინასწარი თანხმობის გარეშე, დასაქმებულს ეკრძალება სხვა სამუშაოს შესრულება (როგორც შრომითი ხელშეკრულების, ისე სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების საფუძველზე), თუ ამან შეიძლება ხელი შეუშალოს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდებობის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში“.

სსიპ - „შემოსავლების სამსახურიდან“ მოწოდებული ინფორმაციით გამოვლინდა, რომ 2015-2016 წლებში საზოგადოებრივ მაუწყებელში მუშაობის პერიოდში, 542 თანამშრომელი შრომის ანაზღაურებას სხვა ორგანიზაციაშიც იღებდა, საიდანაც სხვა მაუწყებელში პარალელურად დასაქმებული იყო 103 თანამშრომელი.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია მაუწყებელში 2015-2016 წლებში დასაქმებული თანამშრომლების შესახებ ცხრილი N9-ის სახით:

***ცხრილი N9***

| | **2015** | **2016** |
|---|---|---|
| სულ დასაქმებული | 1,397 | 1,758 |
| სხვა ორგანიზაციაში დასაქმებული | 439 | 468 |
| **მათ შორის, სხვა მაუწყებელში დასაქმებული** | **78** | **92** |

საზოგადოებრივ მაუწყებელში არ არსებობს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც მისი თანამშრომლების სხვა დაწესებულებებში პარალელურად საქმიანობის შესახებ ინფორმაციას გამოავლენდა, მათ შორის, კონტროლის მექანიზმად შესაძლოა გამოყენებული იყო ე.წ „ტურნიკეტის“ მონაცემები.

საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა მიერ დარღვეულია „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი, რომლითაც მათ ეკრძალებოდათ პარალელურად ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება სხვა მაუწყებელში.

## *4.3 უსაფუძვლოდ გაცემული ჰონორარი*

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით[31], საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრებს განესაზღვრათ უფლებამოსილების ვადები.

სამეურვეო საბჭოს ყოფილ წევრს, რომელსაც საბჭოში უფლებამოსილების ვადა შეუწყდა, 5 თვის განმავლობაში ჰონორარის სახით უსაფუძვლოდ მიღებული აქვს 12,800 ლარი (საშემოსავლო გადასახადის გარეშე).

2016 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ზედმეტად გადახდილი ჰონორარი, ექვემდებარება ბიუჯეტში უკან დაბრუნებას.

[30] 23-ე მუხლი, მე - 6 პუნქტი.

[31] სამეურვეო საბჭოს 2016 წლის 25 თებერვლის N332 გადაწყვეტილება.

### *4.4 დაცვის ხარჯი*

2015-2016 წლებში საზოგადოებრივი მაუწყებლის დაცვა უზრუნველყოფილი იყო სსიპ - „დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან“ შენობისა და ოფისის დაცვის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის დაცვის მიზნით, სსიპ - „დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან“ მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, გადახდილია 2015 წელს - 211,200 ლარი, ხოლო 2016 წელს - 215,400 ლარი. გამოვლინდა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში 2015 და 2016 წლებში გენერალური დირექტორის აპარატში დამატებით შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებიდან დაცვის თანამშრომლებზე გაიცა 81,152 ლარი.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან გაფორმებული ხელშეკრულებისგან განსხვავებით, თუ რა დამატებითი ფუნქცია-მოვალეობებით იყვნენ აღჭურვილნი გენერალური დირექტორის აპარატში შტატგარეშე მომუშავეებად დასაქმებული დაცვის თანამშრომლები.

## 5. ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები

### *5.1 ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის ხარჯები*

ქვემოთ მოცემულ ცხრილ N10-ში წარმოდგენილია მაუწყებელში 2015-2016 წლებში საწვავის ხარჯვის შესახებ ინფორმაცია:

***ცხრილი N10***

| **დასახელება/წელი** | **2015** | **2016** |
|---|---|---|
| ფაქტობრივი ხარჯი (ლარი) | 219,369 | 189,043 |
| ფაქტობრივი ხარჯი (ლიტრი) | 155,838 | 160,638 |

დასარწმუნებლად იმაში, რომ ორგანიზაციაში საწვავის ხარჯვის მონიტორინგის მიზნით დანერგილი კონტროლის მექანიზმები პასუხობს რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია საწვავის ხარჯვასთან, აუცილებელია დადგენილი იყოს თითოეულ ავტომობილზე საწვავის ხარჯვის ნორმები და დასტურდებოდეს გავლილი მანძილები.

ავტომანქანებზე საწვავის ჩამოწერა ხდება ფაქტობრივად ჩასხმული საწვავის მიხედვით. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ვერ წარმოადგინა ოდომეტრის მაჩვენებლები 2015 წელს 19 სატრანსპორტო საშუალებაზე, ხოლო 2016 წელს - 15-ზე. აღნიშნულ ავტომანქანებზე 2015 წელს სულ გახარჯულია 59,463 ლიტრი საწვავი, ხოლო 2016 წელს - 44,169 ლიტრი.

არცერთ ავტომობილზე არ არის დადგენილი საწვავის წვის ნორმა, თუ რამდენ საწვავს მოიხმარს ესა თუ ის ავტომობილი 100 კილომეტრის გავლისას.

იმ ავტომობილებზეც კი, რომლებზეც არსებობს გავლილი მანძილების შესახებ ინფორმაცია, გახარჯულ საწვავზე კონტროლი მაინც ვერ იარსებებს, რადგან არ არის დადგენილი წვის ნორმა.

2015-2016 წლებში საზოგადოებრივ მაუწყებელსა და შპს „I GPS ოპერატორს“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, შპს „I GPS ოპერატორს“ უნდა შეესრულებინა ქვემოთ ჩამოთვლილი მომსახურებები:

- ✓ ონლაინ მონიტორინგი;
- ✓ ავტომანქანების მოძრაობის ისტორია;
- ✓ სტატისტიკური მონაცემები;
- ✓ მარშრუტი და ზონირება;
- ✓ საწვავის მოხმარების კონტროლი და ა.შ.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ვერ წარმოადგინა 2015 წლის GPS სისტემის მონაცემები.

მოწოდებული GPS სისტემის 2016 წლის მონაცემებიდან გამოვლინდა, რომ 2016 წელს 4 ავტომანქანაზე პროგრამულად საერთოდ არ კონტროლდებოდა საწვავის ხარჯვა, ხოლო 16 ავტომანქანაზე დაფიქსირებული მონაცემები განსხვავდება ფაქტობრივად ჩამოწერილი საწვავის მოცულებებისგან (სხვაობები აღემატება 10%-ს).

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საწვავის ხარჯვის კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს მასთან დაკავშირებული რისკების განეიტრალებას. შესაბამისად, არსებობს საწვავის არამიზნობრივად მოხმარების რისკი.

***რეკომენდაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას***

საწვავის ხარჯვაზე სრულყოფილი კონტროლის მიზნით, სსიპ - „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ უზრუნველყოს თითოეულ ავტომობილზე წვის ნორმების დადგენა, ხოლო გავლილ მანძილებთან მიმართებაში დანერგოს ელექტრონული ფორმით (GPS-ის მონაცემებით) დროული და სრული აღრიცხვა, თუ ეს უკანასკნელი ტექნიკური საშუალებებით ვერ მიიღწევა, აწარმოოს დოკუმენტაცია ე.წ. „საგზურის ფურცლები“, სადაც ფიქსირდება მიმართულება და გავლილი მანძილი ავტომობილების მიხედვით.

## 6. იჯარიდან მიღებული შემოსავლები

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ბრძანებით[32], განსაზღვრულია საიჯარო ფართების კატეგორიები, ტარიფები და ფასდაკლების სისტემები.

გაქირავებული ფართებიდან მიღებული შემოსავლების სისწორისა და სიზუსტის დადგენის მიზნით, მოიჯარეებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ასახული საიჯარო ფართების ფართობები უნდა ედრებოდეს გასაქირავებელი ფართების აზომვით ნახაზებში დაფიქსირებულ ფართობებს.

2013 წლის შემდეგ ტარიფები არ შეცვლილა, განსაზღვრული ტარიფები არ ემყარება საექსპერტო შეფასებას და არც ბაზრის კვლევის შედეგადაა დადგენილი.

საზოგადოებრივ მაუწყებელში არ არის განსაზღვრული მის საკუთრებაში არსებული ქონების (ფართის და სხვა აქტივების) იჯარით გაცემის პოლიტიკა. ფართების იჯარით გაცემა ხდება კომპანიების ან მოქალაქეების წერილობითი ან სიტყვიერი მომართვის საფუძველზე[33].

მოიჯარეებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს არ ახლავს გაქირავებული ფართის აზომვითი ნახაზები, შესაბამისად, მაუწყებლის მხრიდან კონტროლის მექანიზმი იჯარიდან მიღებული შემოსავლების სისრულესა და სიზუსტეზე - სუსტია.

***რეკომენდაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას***

სსიპ - „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“, ფართების იჯარით გაცემის პროცესის გამჭვირვალობის, კონკურენციის გაზრდისა და გაცემული ფართებიდან მიღებული შემოსავლების სრულად და ზუსტად აღრიცხვის მიზნით, შეიმუშაოს საკუთრებაში არსებული ფართების იჯარით გაცემის წესი და ხელშეკრულების გაფორმებამდე, უზრუნველყოს შესაბამისი აზომვითი ნახაზის შედგენა.

## 7. აქტივებისა და ვალდებულებების მართვა

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით[34], ინვენტარიზაციას ექვემდებარება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული აქტივები და ვალდებულებები.

2015-2016 წლებში საზოგადოებრივ მაუწყებელში არ ჩატარებულა მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრულყოფილი ინვენტარიზაცია, არ არის გაფორმებული ინვენტარიზაციის შედეგებზე შესაბამისი აქტი.

[32] გენერალური დირექტორის 2013 წლის 16 მაისის ბრძანება N90.
[33] 2015 წელს გაფორმებულია 17 ხელშეკრულება და 2016 წელს - 15.
[34] ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისს N605 ბრძანება - „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბალანსზე ირიცხება:

*ცხრილი N11*

| დასახელება | 1996-2009 | 2010-2014 | 2015 | 2016 | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| დებიტორული დავალიანება | 401,957 | 2,484,258 | 866,277 | 1,447,570 | 5,200,062 |
| კრედიტორული დავალიანება | 618,568 | 261,101 | 197,919 | 634,097 | 1,711,685 |

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 548,736 ლარის მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოიცავს:

- 203,416 ლარს - მოთხოვნებს გათავისუფლებულ თანამშრომლებზე;
- 9,462 ლარს - დანაკლისს გარდაცვლილ თანამშრომლებზე;
- 11,790 ლარს - დაუდგენელ ანგარიშვალდებულ პირებზე დანაკლისს.

საზოგადოებრივ მაუწყებელს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დებიტორულ დავალიანებებში აღრიცხული აქვს მოთხოვნები შემდეგი ორგანიზაციების მიმართ:

*ცხრილი N12*

| ორგანიზაციის დასახელება | თანხა | წარმოშობის თარიღი |
|---|---|---|
| კავშირგაბმულობის სამინისტრო | 219,511 | *1996-2000* |
| შპს „ოლიმპიური ვარსკვლავი" | 158,808 | *2010* |
| ა(ა)იპ „ავანგარდული მოდის ასამბლეა“ | 19,273 | *2010* |
| შპს ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“ | 19,585 | *2010* |
| შპს „ივ. ჯავახიშვილის სახ. დიაგნოსტიკური ცენტრი“ | 21,398 | *2010* |
| შპს „ახალი სტილი" | 16,103 | *2010* |
| შპს „რენესანსი" | 22,148 | *2010* |
| შპს სასტუმრო "კოლხეთი" | 16,589 | *2010* |
| შპს „საქ. კურორტები" | 16,082 | *2010* |
| შპს გაზეთი „რეზონანსი" | 15,869 | *2010* |
| შპს „ინფოკომი" | 15,072 | *2010* |
| შპს „ფლაი ჯორჯია“ | 7,200 | *2013* |
| **სულ** | **547,638** | |

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია აღნიშნული ფიზიკური პირებიდან და ორგანიზაციებიდან თანხების ამოღების ან ჩამოწერის მიზნით, მის მიერ გატარებული სამართლებრივი ღონისძიებების შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ არ იქნა შესრულებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით[35] განსაზღვრული მოთხოვნა, რაც ასევე მიუთითებს მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღრიცხვასთან დაკავშირებული კონტროლის სისუსტეებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების[36] მიხედვით, აქტივების დანაკლისი, ასევე ნორმის ზემოთ მატერიალური მარაგების დანაკლისის ანაზღაურება დაეკისრებათ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს, თუ დანაკლისი მათი ბრალეული ქმედებით არის გამოწვეული. ამასთანავე, ინვენტარიზაციის დასრულებიდან 5 დღის ვადაში ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, შეკრებილი მასალები გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს[37].

2015 წლის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა მატერიალური ფასეულობების დანაკლისი 41,293 ლარის, ხოლო 2016 წელს - 2,819 ლარის ოდენობით. აღნიშნული დანაკლისების შესახებ ინფორმაცია სამართალდამცავებისათვის არ გადაგზავნილა, რითაც არ შესრულდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით[38] განსაზღვრული მოთხოვნა.

[35] ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისს N605 ბრძანება.
[36] ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისს N605 ბრძანება.
[37] 15-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.
[38] ფინანსთა მინისტრის N605 ბრძანების 15-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ” ქვეპუნქტი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ. თბილისი. ქ. წამებულის გამზირი N96
ტელ: +995 32 2438438